საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/142
23.02.2024

ბრძანება

142-01-4-202402231725

გადაწყვეტილება
შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ (ს/ნ 412702446) 2023 წლის 12 დეკემბრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივანის პოზიცია

2023 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ (ს/ნ: 412702446) საჩივარი (რეგ. N01/4244) შპს „ინტელექტ მარკეტის“ (ს/ნ: 404433653) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), მე-7 (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) და მე-11³ (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მუხლების შესაძლო დარღვევაზე, ასევე, შპს „ჯი ემ ჯი ცენტრის“ (ს/ნ: 404385090) მიერ კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შესაძლო დარღვევაზე, ხოლო ფ/პ არტიტტაია სირირატის (პ/ნ: 3309900363011) მიერ კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ.

საჩივარში მომჩივანი მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებში ე.წ. იშვიათი უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების ბაზარზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს შორის, შპს „ინტელექტ მარკეტსა“ და შპს „ჯი ემ ჯი ცენტრს“ შორის არსებობს კონკურენციის შემზღუდველი ფარული გარიგება, შეთანხმებული ქმედება, რომელიც გამოიხატება ამ კომპანიების მხრიდან ე.წ. იშვიათი უცხო ენების სპეციალისტების მიმართ იმგვარი მოთხოვნის დაწესებაში, რომელიც უკრძალავს მათ სხვა კონკურენტ კომპანიასთან თანამშრომლობას და ასევე, ე.წ. იშვიათი უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების გადანაწილებაში ფარული გარიგების გზით შპს „ინტელექტ მარკეტსა“ და შპს „ჯი ემ ჯი ცენტრს“ შორის. კერძოდ, აღნიშნული კომპანიები ე.წ. იშვიათი უცხო ენების სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებში არ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. ამ გარიგების შედეგად, მეორე კომპანია მხოლოდ მას შემდეგ

იღებს სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობას, როდესაც პირველ კომპანიას ექმნება ტექნიკური ბარიერი და ფიზიკურად ვეღარ მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ ტენდერში.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ პროფესიონალი თარჯიმნის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასევე მონაცემთა ანალიზითა და შეგროვებული უტყუარი მტკიცებულებებით დგინდება, რომ იშვიათი ენების სახელმწიფო ბაზრის ორი მონაწილე შპს „ინტელექტ მარკეტი“ და შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი“ ახორციელებს შეთანხმებულ ქმედებას, ფარული გარიგების ფორმით, რომლის მიზანი და პრაქტიკული შედეგია იშვიათი ენების სახელმწიფო მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ბაზრის გადანაწილება. იმ იშვიათი უცხო ენების სათარჯიმნო და მთარმგნელობითი მომსახურების ბაზარზე, სადაც მოთხოვნილია თარჯიმნის თანხმობა, მოპასუხე კომპანიები არასდროს უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და ტენდერის ერთადერთი მონაწილენი არიან.

მომჩივანის განმარტებით, შპს „ინტელექტ მარკეტსა“ და შპს „ჯი ემ ჯი ცენტრს“ შორის შეთანხმებული ქმედების შედეგად, ე.წ. იშვიათი ენების თარჯიმნები მხოლოდ ამ ორ კომპანიასთან თანამშრომლობენ და სხვა კომპანიასთან თანამშრომლობა ეკრძალებათ. შედეგად, იქ სადაც იშვიათი ენების თარჯიმნის თანხმობაა მოთხოვნილი, აღნიშნული კომპანიები წარმოადგენენ სახელმწიფო ტენდერის ერთადერთ მონაწილეს. მომჩივანს მაგალითად მოჰყავს ტაილანდური ენის სპეციალისტის არტიტტაია სირირატის შემთხვევა, რომელსაც ორივე კომპანია იყენებს სახელმწიფო ტენდერის მოსაგებად.

როგორც მომჩივანი აღნიშნავს, შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპს“ სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ესაჭიროებოდა ტაილანდური ენის თარჯიმანი, რის გამოც განხორციელდა ზარი არტიტტაია სირირატთან. არტიტტაია სირირატმა მომჩივანი კომპანია გადაამისამართა ტელეფონის ნომერზე, საიდანაც უნდა მომხდარიყო ნებართვის გაცემა. მითითებული ნომერი კი ოფიციალურად რეგისტრირებული მონაცემებით წარმოადგენდა შპს „ინტელექტ მარკეტის“ დირექტორის ქალბატონ სალომე ცერცვაძის საკუთრებას. ქალბატონ სალომე ცერცვაძესთან საუბრისას ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპთან“ არ ითანამშრომლებდა ტაილანდური ენის თარჯიმანი.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ შპს „ინტელექტ მარკეტსა“ და შპს „ჯი ემ ჯი ცენტრს“ ყველა ენის, მათ შორის, ე.წ. იშვიათი ენების თარჯიმნებთან დადებული აქვთ იმგვარი ხელშეკრულებები, რომელიც კავშირში არ არის გარიგების საგანთან და მათ უპირატეს მიზანს ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა წარმოადგენს.

გარდა ამისა, მომჩივანის განმარტებით, შპს „ინტელექტ მარკეტი“ მომხმარებლებს უქმნის ყალბ და არასწორ წარმოდგენას. აღნიშნული კომპანია ყველა მის საჯაროდ ატვირთულ დოკუმენტზე იყენებს ჩანაწერს, სადაც მითითებულია: „ინტელექტ მარკეტი მოცემულ საბუთზე სარგებლობს ექსკლუზიური უფლებამოსილებით...“ მომჩივანისთვის გაუგებარია რა უფლებას ფლობს საბუთზე აღნიშნული კომპანია. ხსენებული პრაქტიკა მომხმარებელს უქმნის ყალბ წარმოდგენას, თითქოს თარჯიმნების მონაცემებზე კომპანიას

რაიმე ექსკლუზივი გააჩნია, რაც მომჩივანის პოზიციით წარმოადგენს კანონის მე-11³ მუხლის დარღვევას.

1.2. მოპასუხის პოზიცია

ა) შპს „ინტელექტ მარკეტი“

სააგენტოს 2023 წლის 15 დეკემბრის წერილით (რეგ. N02/3638) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „ინტელექტ მარკეტს“. ასევე, სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის წერილით (რეგ. N02/221) მოპასუხე მხარეს ეთხოვა წარმოედგინა შპს „ინტელექტ მარკეტსა“ და არტიტტაია სირირატს შორის დადებული ხელშეკრულება/შეთანხმება.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა 2024 წლის 8 თებერვლის წერილით (რეგ. N01/767) სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხე მიუთითებს, რომ მომჩივანის მიზანია ბაზარზე მოიპოვოს დომინანტური პოზიცია და ჩამოიშოროს გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია. შპს „ინტელექტ მარკეტის“ მიზანს არ წარმოადგენს გახდეს დომინანტი. აქედან გამომდინარე, კომპანიისთვის არ წარმოადგენს პრიორიტეტს სახელმწიფო ტენდერის ნებისმიერ ფასად მოგება და შესაბამისად, მონაწილეობას არ იღებს ყველა სახელმწიფო ტენდერში.

მოპასუხე მიუთითებს, რომ მათი აზრით ტერმინი ე.წ. იშვიათი უცხო ენა არ არსებობს, რადგან უცხო ენა შეიძლება კონკრეტულ პერიოდში იყოს აქტიური გამოყენების და შეიძლება იყოს პასიური. უცხო ენის სპეციალისტის მოძიება, შერჩევა და შეფასება ხდება მისი მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე, რომელიც შემდეგ გადადის აქტიური გამოყენების ფაზაში. აქედან გამომდინარე, მათ ენიჭებათ მთარგმნელ-თარჯიმნის სტატუსი და კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში თავად წყვეტენ რომელ სათარჯიმნო/მთარგმნელობით ბიუროსთან ითანამშრომლონ. ამ დროს, ასევე, ხდება შეთანხმება და დადასტურება დაქირავებული პირის ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების კანონით დადგენილი ფორმით დამუშავებისა და გამოყენების შესახებ, რის შედეგადაც ორგანიზაცია იღებს პასუხისმგებლობას პირის პერსონალური მონაცემები არ დაამუშავოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე და არც სხვას მისცეს ამის უფლება. ზოგიერთ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირს, სატენდერო პირობის თანახმად, მოეთხოვებათ საჯაროდ ატვირთონ და წარმოადგინონ მთარგმნელ-თარჯიმნის პერსონალური ინფორმაცია. აღნიშნული ხელმისაწვდომია კონკურენტი პრეტენდენტებისთვისაც და ამ ინფორმაციის დამუშავების უფლება მათ არ აქვთ. სწორედ ამ მიზნითაა შემუშავებული შპს „ინტელექტ მარკეტში“ შტამპის ფორმა, რომელიც განთავსებულია პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტებზე. აღნიშნული ემსახურება პერსონალური მონაცემების დამუშავების აღკვეთასა და პრევენციას.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ შპს „ინტელექტ მარკეტი“ მომსახურების დროს მთარგმნელ-თარჯიმანს სხვა ანალოგიური მომსახურებით დაკავებულ ორგანიზაციაში მუშაობას არ უკრძალავს. იქიდან გამომდინარე, რომ მთარგმნელ-თარჯიმნის სხვა ორგანიზაციაში მუშაობამ შეიძლება გამოიწვიოს არამართლზომიერი შედეგი, რაც გულისხმობს, თუ მთარგმნელ-თარჯიმანი სხვასთან იქნება დასაქმებული, ე.წ. პირველ გამრიგებელ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად, იმავე დროს, როდესაც უნდა ახორციელებდეს შპს „ინტელექტ მარკეტის“ მომსახურებას, ცხადია, ორივეს ერთდროულად ვერ შეასრულებს. ამიტომ უნდა მოხდეს ორგანიზაციის წინასწარი გაფრთხილება და შემდეგ ორგანიზაცია შეაფასებს ჩაანაცვლოს თუ არა თარჯიმანი და გააგრძელოს თუ არა სხვა ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთან ურთიერთობა.

მოპასუხის მითითებით, შპს „ინტელექტ მარკეტი“ არ აფორმებს ხელშეკრულებას ე.წ. იშვიათი ენის ყველა თარჯიმანთან, მათ შორის, არც მოპასუხედ დასახელებულ არტიტტაია სირირატთანაა დადებული მომსახურების ხელშეკრულება. არტიტტაია სირირატი საჭიროების შემთხვევაში მომსახურებას ახორციელებს ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. იქიდან გამომდინარე, რომ არტიტტაია სირირატსა და შპს „ინტელექტ მარკეტის“ დირექტორს ქალბატონ სალომე ცერცვაძეს წლების მანძილზე აქვთ მეგობრული ურთიერთობა, სხვა კომპანიიდან დაკავშირების შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა აღნიშნულის შესახებ შპს „ინტელექტ მარკეტის“ ინფორმირება.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია მტკიცებულება შპს „ინტელექტ მარკეტსა“ და შპს „ჯი ემ ჯი ცენტრს“ შორის არსებულ შეთანხმებულ ქმედებასთან დაკავშირებით.

ბ) შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი“

სააგენტოს 2023 წლის 15 დეკემბრის წერილით (რეგ. N02/3637) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „ჯი ემ ჯი ცენტრს“. ასევე, სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის წერილით (რეგ. N02/222) მოპასუხე მხარეს ეთხოვა წარმოედგინა შპს „ჯი ემ ჯი ცენტრსა“ და არტიტტაია სირირატს შორის დადებული ხელშეკრულება/შეთანხმება.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა 2023 წლის 26 დეკემბერს (რეგ. N01/4504) სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი“, შპს „ინტელექტ მარკეტი“, შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპი“ არიან კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, რომელთა ინტერესშია სახელმწიფო ტენდერში გამარჯვება, შემსყიდველისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სარგებლის მიღება. მომსახურების განხორციელება ხდება თარჯიმნებთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ვადიანია, ხოლო ზოგ შემთხვევაში უვადო. თარჯიმნები ძირითადად არიან ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც თავისუფლები არიან არჩევანში, თუ

რომელ იურიდიულ პირთან ითანამშრომლებენ. თარჯიმნების შეზღუდვას ეთანამშრომლათ სხვა კონკურენტ კომპანიასთან შპს „ჯი ემ ჯი ცენტრის“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია, მათ შორის, არტიტტაია სირირატი თავად ირჩევს რომელ კომპანიასთან ითანამშრომლოს.

მოპასუხე მიუთითებს, რომ შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი“ და შპს „ინტელექტ მარკეტი“ არიან ერთმანეთის კონკურენტები და მათ შორის არ ხდება ფარული გარიგების გზით სახელმწიფო შესყიდვების გადანაწილება. სატენდერო პირობებს შემსყიდველი ორგანიზაცია აქვეყნებს ტენდერის გამოცხადებისას, შესაბამისად, კომპანიამ იცის თავისი შესაძლებლობები და ამის მიხედვით ხდება ტენდერში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე, შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ არგუმენტი, რომ მეორე კომპანია მხოლოდ მას შემდეგ იღებს მონაწილეობას იშვიათი ენების სახელმწიფო ტენდერში, როდესაც პირველ კომპანიას ექმნება ტექნიკური ბარიერი და ფიზიკურად ვეღარ იღებს ტენდერში მონაწილეობას, გაუგებარია.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე

მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშნველოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომ – შეთანხმება), კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

კანონის მე-11³ მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - „პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის

მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გათვალისწინებულია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1 ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.[1]

აღსანიშნავია, რომ კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე

[1] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის N04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II"), გვ. 10; საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 16 ივნისის N04/338 ბრძანება (შპს „მედ ფარმასი გრუპის" საქმე), გვ.6 და სხვა გადაწყვეტილებები.

სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

შესაბამისად, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე, სააგენტო, მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით, უფლებამოსილია მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.[2]

შესაბამისად, როგორც აღინიშნა საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[3] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ

[2] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10.

[3] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ.https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52011XC1020%2802%29), §12.

ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[4] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[5]

სააგენტო უფლებამოსილია, საქმის მოკვლევა დაიწყოს საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. პროცედურის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტო საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას კანონით, პროცედურის მე-5 მუხლითა და დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, თუ რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე (მოწმდება სრულყოფილი საჩივრის წარმოდგენიდან 30 სამუშაო დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები, სახეზეა თუ არა მხარის მიერ მითითებული ნორმის შემადგენლობა და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, მომჩივანი განიხილება მხარედ და მას ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.[6]

შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საჩივარში საუბარია კანონის მე-6, მე-7 და მე-11[3] მუხლებით გათვალისწინებულ დარღვევებზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად,

[4] იქვე § 12.
[5] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77.
[6] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 55.

საჭიროა სამივე მუხლთან მიმართებაში შეფასდეს არსებული პრეტენზიის დასაბუთებულობა და გონივრული ეჭვის წარმოშობის საკითხი.

3.2 შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

იმის გათვალისწინებით, რომ საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სააგენტო, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობების დარღვევის გონივრულ ეჭვზე.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება), ხოლო ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად აგრეთვე შეიძლება დაკვალიფიცირდეს წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.

აღსანიშნავია, რომ დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. აღნიშნულის ფონზე, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ფლობასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა. ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა მინიმუმ ორი ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა: ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, ასეთ დროს სააგენტოსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სადავო ქმედების შინაარსისა და დავის საგნის იდენტიფიცირება.[7]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს კანონის მე-6 მუხლის ფარგლებში საჩივარში მითითებულ გარემოებაზე - მომჩივანის პოზიციით, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შპს ,,ინტელექტ მარკეტსა" და არტიტტაია სირირატს შორის (1) ან/და შპს ,,ჯი ემ ჯი ცენტრსა" და არტიტტაია სირირატს შორის (2) ტაილანდური ენის მთარგმნელობითი-სათარჯიმნო მომსახურების ბაზარზე ექსკლუზიური შეთანხმების არსებობას, რაც იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი ენა მომჩივანის მოსაზრებით, იშვიათ ენათა კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას იწვევს. სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ორივე მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები:

1. **შპს ,,ინტელექტ მარკეტი"** – კომპანიის დირექტორმა სააგენტოს განუმარტა, რომ კომპანია არ აფორმებს ხელშეკრულებას ყველა ე.წ. იშვიათი ენის თარჯიმანთან, მათ შორის არც არტიტტაია სირირატთან არ გაუფორმებია ხელშეკრულება. იგი მომსახურებას ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ზეპირი შეთანხმების საფუძველზე (თარიღი: 08.02.2024; რეგ: N 01/767). სააგენტო განმარტავს, რომ ექსკლუზიური ხასიათის გარიგებები ძირითადად წარმოადგენს ვერტიკალური ხასიათის შეთანხმებებს, კერძოდ, იდება ორი დონის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს შორის – მიმწოდებელს (რომელიც წარმოდგენილია ზედა დონის ბაზარზე) და მომხმარებელს (რომელიც წარმოდგენილია ქვედა დონის ბაზარზე) შორის. ექსკლუზიური გარიგება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი ფორმის. გარიგების ექსკლუზიური ხასიათი შესაძლოა გამოხატული იყოს როგორც პროდუქციის ექსკლუზიურ შეძენაში, ასევე ექსკლუზიურ მიწოდებაში.

მოცემულ შემთხვევაში დგინდება შპს ,,ინტელექტ მარკეტსა" და არტიტტაია სირირატს შორის ზეპირი შეთანხმების არსებობის ფაქტი ტაილანდურ ენაზე მთარგმნელობითი-სათარჯიმნო მომსახურების გაწევის თაობაზე. თუმცა, არ დგინდება რაიმე სახის წერილობითი შეთანხმების არსებობა განსახილველ სუბიექტებს შორის, ასევე არ დგინდება ზეპირი შეთანხმების ფარგლებში ექსკლუზივის არსებობის გარემოებაც. ამ უკანასკნელი გარემოების დადასტურების მიზნით, მომჩივანმა საჩივარზე თანდართული მტკიცებულების სახით სააგენტოში წარმოადგინა სატელეფონო აუდიო ჩანაწერები, ერთი მხრივ, შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის" წარმომადგენელსა და არტიტტაია სირირატს (1), ხოლო მეორე მხრივ ამავე კომპანიის წარმომადგენელსა და შპს ,,ინტელექტ მარკეტის"

[7] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე") გვ. 12.

დირექტორს, ქალბატონ სალომე ცერცვაძეს შორის (2). უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მტკიცებულებების როგორც მოპოვების, აგრეთვე გამოყენების (სააგენტოში მათი წარმოდგენის მეშვეობით) კანონიერების საკითხი შესწავლილ იქნა სსიპ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის" მიერ. მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც არ დადგინდა სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარზე თანდართული სატელეფონო აუდიო ჩანაწერების როგორც მოპოვების, აგრეთვე გამოყენების კუთხით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი.[8] თავის მხრივ, მოცემული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარებიან თბილისის საქალაქო სასამართლოში მათი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა და იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი იქნება საბოლოო სამართლებრივი შედეგი გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, სააგენტო აღნიშნავს, რომ სატელეფონი აუდიო ჩანაწერების ფარგლებში ადრესატების მიერ გაჟღერებული ინფორმაცია არ ჰქმნის საქმის მოკვლევის დასაწყებად გონივრული ეჭვის საკმარის საფუძველს. კერძოდ:

- **პირველ სატელეფონო ზართან მიმართებით** - არტიტტაია სირირატმა შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის" წარმომადგენლისგან მიიღო შეთავაზება ტაილანდურ ენაზე მომსახურების გაწევის თაობაზე. კომპანიის წარმომადგენელმა ზოგადად აღნიშნა, რომ ის ქართული მთარგმნელობითი სააგენტოდან უკავშირდებოდა, რითაც მან დამალა მის მიერ წარმოდგენილი კომპანიის ნამდვილი ვინაობა. არტიტტაია სირირატმა შესაბამისი წარმომადგენელი გადაამისამართა შპს ,,ინტელექტ მარკეტის" დირექტორთან ქალბატონ სალომე ცერცვაძესთან იმ მიზეზით, რომ მასთან უნდა შეთანხმებულიყო შეძლებდა თუ არა ის მომსახურების გაწევას დაინტერესებული პირისათვის. სააგენტო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მართალია დგინდება შპს ,,ინტელექტ მარკეტსა" და არტიტტაია სირირატს შორის საქმიანი ურთიერთობის არსებობა, თუმცა აღნიშნული გარემოება არც ერთ შემთხვევაში არ მიუთითებს რაიმე სახის ექსკლუზივზე, რადგან ნებისმიერი მომსახურების გამწევი პირი ან/და ორგანიზაციის თანამშრომელი კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე თავისუფალია შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაჰენტი, ასევე მასთან ურთიერთობის დამყარების სასურველი ფორმა. ცხადია, არტიტტაია სირირატს არ გააჩნდა არავითარი სამართლებრივი ვალდებულება დათანხმებოდა შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის" შეთავაზებას და მას სრული უფლება ჰქონდა მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი კომპანიის საჭიროების გათვალისწინებით ემოქმედა - ჯერ დაეკავშირებინა დაინტერესებული პირი შესაბამის კომპანიასთან და შემდგომ თვითონ გადაეწყვიტა გაუწევდა თუ არა მოთხოვნილ მომსახურებას დაინტერესებულ პირს, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაეთვალისწინებინა შპს ,,ინტელექტ

[8] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 18 იანვრის №გ-1/007/2024 გადაწყვეტილება; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 18 იანვრის №გ-1/008/2024 გადაწყვეტილება.

მარკეტის“ სავარაუდო საჭიროება, ნებისმიერი სახის გონივრული აუცილებლობა, რადგან ამავე კომპანიასთან მიმდინარე კონტრაჰენტულ ურთიერთობაში იმყოფებოდა და მის მიმართ შესაბამისი მომსახურების გაწევის ვალდებულება უკვე გააჩნდა.

- **მეორე სატელეფონო ზართან მიმართებით** - მოცემულ შემთხვევაში შპს ,,დელტა დეველოპმენტ გრუპის“ წარმომადგენელი სწორად გაეცნო შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ დირექტორს და მისგან ითხოვა, რომ არტიტტაია სირირატს კომპანიისათვის გაეწია ტაილანდურ ენაზე მთარგმნელობითი-სათარჯიმნო მომსახურება. სატელეფონო ჩანაწერის ფარგლებში (რომლის ხანგრძლივობაც შეადგენს 1:46 წამს) შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ დირექტორმა 3-ჯერ დააზუსტა სატელეფონო ადრესატის ვინაობა:

- 00:29 - *თქვენ ვინ გრძანდებით?*
- 01:02 - *თქვენ ვინ გრძანდებით უკაცრავად?*
- 01:17 - *თქვენი სახელი და გვარი შეიძლება ვიცოდე უკაცრავად?*

საბოლოო ჯამში სატელეფონო ჩანაწერიდან დგინდება, რომ შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ დირექტორი ვერ დარწმუნდა იმაში თუ ვისთან ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია. სატელეფონო ადრესატის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააგენტოსგან გაეგზავნა საჩივარი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. ცხადია, ასეთ პირობებში, სატელეფონო ჩანაწერის ფარგლებში შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ დირექტორის მიერ გაჟღერებული პასუხი იმასთან დაკავშირებით, რომ *,,თქვენ ვერ მოგემსახურებათ არტიტტაია იმიტომ რომ ჩვენთან მუშაობს“* (00:52-00:56), ასევე უარი არტიტტაია სირირატის მიერ მომსახურების გაწევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით (01:38-01:45) არ ჰქმნის გონივრულ ეჭვს სავარაუდო კანონდარღვევის არსებობასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში სატელეფონო ადრესატი სულ მცირე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო თუ ვისთან ჰქონდა კომუნიკაცია, რაც ვერ დგინდება ამავე კომუნიკაციის ფარგლებში შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ დირექტორის მხრიდან არაერთგზისი დაზუსტების მცდელობის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ დირექტორს არავითარი ვალდებულება არ გააჩნდა მისთვის უცნობი პიროვნების მიმართ თანხმობა გაეცა ან თუნდაც რაიმე სახის მოლაპარაკება გაემართა არტიტტაია სირიტატის მხრიდან მომსახურების გაწევის თაობაზე, რის გამოც მოცემული გარემოება საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე შესაბამის გონივრულ ეჭვს არ წარმოშობს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტაილანდური ენის ფარგლებში მთარგმნელობითი-სათარჯიმნო მომსახურების გაწევის გარდა, მომჩივანი პრობლემურად მიიჩნევს სპარსული ენის მთარგმნელობით-სათარჯიმნო ბაზარზე შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ მიერ ექსკლუზივის გამოყენების კანონიერების საკითხს. კერძოდ, მომჩივანმა საჩივარზე თანდართული მტკიცებულების სახით წარმოადგინა სპარსული ენის თარჯიმნის მიერ ხელმოწერილი საბუთი - შპს ,,ინტელექტ მარკეტთან“ მუშაობის განრიგის შიდა წესი,

რომლის მე-7 პუნქტით დადგენილია:

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეიცავს გარკვეულ რისკს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოსათვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით, სააგენტომ აღნიშნული წერილობითი დოკუმენტი გაუგზავნა (თარიღი: 15.12.2023; რეგ: N 02/3638) შპს ,,ინტელექტ მარკეტს", მისი მხრიდან პოზიციის წარმოდგენის მიზნით. შპს ,,ინტელექტ მარკეტის" დირექტორმა სააგენტოს განუმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერით, თარჯიმანს არ ეკრძალება შპს ,,ინტელექტ მარკეტთან" მუშაობის დროს სხვა ანალოგიური მომსახურებით დაკავებულ ორგანიზაციასთან მუშაობა. კერძოდ, კომპანიის პოზიციით, სადავო ნორმის მოქმედება ვრცელდება შეუთანხმებლად სხვასთან წასვლაზე, რადგან ასეთმა შემთხვევამ შესაძლოა გამოიწვიოს არამართლზომიერი შედეგი - თუ თარჯიმანი პირველ გამრიგებელ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად დასაქმდება სხვა ორგანიზაციაში იმავე დროს, როცა უნდა ახორციელებდეს შპს ,,ინტელექტ მარკეტის" მომსახურებას, ცხადია ორივე მომსახურებას ერთდროულად ვერ გაწევს, ამიტომ უნდა მოხდეს წინასწარი გაფრთხილება და ორგანიზაცია თვითონ შეაფასებს ჩაანაცვლოს თუ არა თარჯიმანი და საერთოდ გააგრძელოს თუ არა სხვა ორგანიზაციაში დასაქმებულ მთარგმნელ-თარჯიმანთან ურთიერთობა (თარიღი: 08.02.2024; რეგ: N 01/767).

სააგენტო აღნიშნავს, რომ სპარსული ენის თარჯიმანთან გაფორმებული მუშაობის შიდა განრიგის წესის ფარგლებში არსებული ჩანაწერი იმ რისკის განეიტრალებას ემსახურება, რომელიც კომპანიის მიერ კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის წარმოშობას გულისხმობს. ცხადია, შპს ,,ინტელექტ მარკეტს" როგორც კერძო პირებისგან, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციებისგან სახელმწიფო ტენდერების ფარგლებში მიღებული შეკვეთების საფუძველზე მთარგმნელობითი-სათარჯიმნო მომსახურების განხორციელება უწევს. ასეთ შემთხვევაში, სრულიად გამართლებულია კომპანიის ინტერესი, რომ ამავე მომსახურების გაწევის პროცესში ადგილი არ ჰქონდეს ხელისშემშლელ, დამაბრკოლებელ გარემოებებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სათარჯიმნო-მთარგმნელობით ორგანიზაციისათვის, შესაძლოა, წინასწარ არც კი იყოს ცნობილი თუ როდის გახდება მომსახურების განხორციელება საჭირო, (განსაკუთრებით, სახელმწიფო შემსყიდველებთან აღებულ ვალდებულებების ფარგლებში), რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან კონტრაჰენტულ ურთიერთობაში მყოფ მთარგმნელ/თარჯიმანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მზადყოფნა (ამ შემთხვევაში, დროის რესურსის გათვალისწინებით) მოთხოვნის შესაბამისად, შეასრულოს მომსახურება. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გამწევი პირი მოულოდნელად დათანხმდება სხვა შემკვეთისგან შემოთავაზებულ წინადადებას მისთვის მომსახურების გაწევის თაობაზე, ბუნებრივია პირდაპირი და უშუალო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება პირველი გამრიგებელი კომპანიის მიერ სხვადასხვა კრედიტორის წინაშე სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების

საკითხი. აღნიშნული რისკის დაზღვევის მიზანს ემსახურება ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ

[9] შესაბამისად, განსახილველი ჩანაწერი განეკუთვნება კომპანიისთვის ჯანსაღი ბიზნეს საქმიანობისათვის აუცილებელ, საჭირო მექანიზმს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების შესრულების საკითხი ერთმნიშვნელოვნად საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება. ბუნებრივია ანალოგიური რისკი არსებობს თარჯიმნის მიერ საკუთარი ორგანიზაციის გახსნის შემთხვევაშიც, რის გამოც განსახილველი დოკუმენტის მე-8 პუნქტიც კომპანიის მიერ კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას ემსახურება. სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა იმავე მომჩივანის მიერ წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაწყებულ მოკვლევას, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტოს მიერ, მათ შორის, მომჩივანის ჩართულობით, იდენტიფიცირებულ იქნა ე.წ. „იშვიათი უცხო ენები", რომელთა შორისაც არ იყო სპარსული ენა.[10]

2. **შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი"** - სააგენტომ გამოითხოვა შპს „ჯი ემ ჯი ცენტრსა" (ს/ნ 404385090) და არტიტტაია სირირატს შორის დადებული ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება, მათ შორის დღეის მდგომარეობით ძალადაკარგული ხელშეკრულებები/შეთანხმებები (თარიღი: 23.01.2024; რეგ: N 02/222). კომპანიამ წარმოადგინა 2018 და 2023 წლებში მხარეთა შორის წერილობით დადებული ხელშეკრულებები (თარიღი: 30.01.2024; რეგ: N 01/568). ხელშეკრულებების საგანი ტაილანდური ენიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით, მთარგმნელობითი-სათარჯიმნო მომსახურების გაწევაა. სააგენტო ადასტურებს, რომ წარმოდგენილი წერილობითი ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე არ დგინდება რაიმე სახის ექსკლუზიური შეთანხმების (პირობის) არსებობა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებები შეიცავენ გარკვეულ ხარვეზებს, უზუსტობებს, სააგენტომ კომპანიისგან დამატებით მოითხოვა ახსნა-განმარტების წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა ტექნიკური ხარვეზების არსებობა როგორც 2018 წლის, აგრეთვე 2023 წლის ხელშეკრულებებში (თარიღი: 01.02.2024; რეგ: N 02/330). კომპანიის წერილობითი პოზიციის თანახმად, სააგენტოში წარმოდგენილ ხელშეკრულებებში მექანიკური შეცდომებია გაპარული (თარიღი: 15.02.2024; რეგ: N 01/914). შესაბამისად, სააგენტოსთვის მიწოდებული და განსახილველი ხელშეკრულებების ფარგლებში არ დგინდება ექსკლუზიური პირობის (პირობების) არსებობის ფაქტი.

9

[10] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/14fdbf09442244ee9a6f5542c8f5ba8c.pdf

აღსანიშნავია, რომ მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა შპს „ჯი ემ ჯი ცენტრსა“ და ერთ-ერთ თარჯიმანს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანია რუსული, ასევე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით, თარგმანის შესრულება. ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებულია განსაკუთრებული პირობები. კერძოდ, მე-8 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის თანახმად,

ხსენებულ ჩანაწერთან დაკავშირებით სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს ორ არსებით გარემოებაზე:

1. **რუსული და ინგლისური ენების არაიშვიათი ხასიათი** - ზემოთ ხსენებული მომსახურების ხელშეკრულება შეეხება რუსულ და ინგლისურ ენებს. შესაბამისად, დასახელებული უცხო ენებიდან არც ერთი მათგანი არ განეკუთვნება იშვიათ ენათა კატეგორიას, რადგან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია როგორც რუსული, აგრეთვე ინგლისური ენების უამრავი სპეციალისტი - როგორც მთარგმნელი, ასევე თარჯიმანი.[11] შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ენების შესაბამისი ბაზრები არ განიცდიან სპეციალისტთა დეფიციტს, რის გამოც მათ ფარგლებში არსებული ექსკლუზივის პირობებში, ნებისმიერი შესაბამისი ბაზრისათვის არამართლზომიერი კონკურენტული რისკები ვერ წარმოიშვება.

2. **ხელშეკრულების ხანმოკლე ხასიათი** - განსახილველი ხელშეკრულება დადებულია სამთვიანი ვადით: ჩათვლით (4.1 პუნქტი). ზემოთ ხსენებული ექსკლუზიურობის პირობაც მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში გამოიყენება. შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ხანმოკლე ხასიათის გათვალისწინებით ექსკლუზივის პირობა ვერ წარმოშობს რომელიმე შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოსათვის არამართლზომიერ რისკებს. განსახილველი ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტილია , ხოლო მისი მოქმედების 3 თვიანი პერიოდის განმავლობაში ექსკლუზიურობის პირობის გამოყენება, მით უფრო ამავე პერიოდის არსებითად ხანმოკლე ხასიათის გათვალისწინებით, ვერ წარმოშობს ნებისმიერი შესაბამისი ბაზრისათვის არამართლზომიერ კონკურენტულ რისკებს, რაც საბოლოო ჯამში არ წარმოშობს სავარაუდო დარღვევის არსებობასთან დაკავშირებით გონივრულ ეჭვს.

[11] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, რომლის ფარგლებშიც სააგენტომ იმსჯელა „იშვიათ“ კატეგორიას მიკუთვნებული უცხოურ ენებთან დაკავშირებით, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/14fdbf09442244ee9a6f5542c8f5ba8c.pdf

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის მე-6 მუხლი მიჩნეულ იქნეს მოკვლევის დაწყების შესაბამის საკანონმდებლო საფუძვლად, აუცილებელია, დასაშვებობის ეტაპზე არსებობდეს გონივრული ეჭვი იმისა, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა აღნიშნული ნორმის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. **შესაბამისად, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში კი, ბუნებრივია, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.**

ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა მინიმუმ ორი ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა:

ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე

ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის ფარგლებში სადავოდ გამხდარი ქმედებები არ წარმოშობს გონივრულ ეჭვს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების დარღვევასთან დაკავშირებით, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

3.3 შეფასება კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

საჩივარი აგრეთვე წარმოდგენილია კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სააგენტო, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობის დარღვევის გონივრულ ეჭვზე.

მომჩივანის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ბოლო 3 წლის განმავლობაში (2021, 2022 და 2023 წლები) შპს ,,ინტელექტ მარკეტი“ და შპს ,,ჯი ემ ჯი ცენტრი“ არასოდეს უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და უმრავლეს შემთხვევაში იშვიათი უცხო ენების ტენდერის

ერთადერთი მონაწილეები არიან. მომჩივანის პოზიციით, აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიებს შორის ადგილი აქვს იშვიათი ენების სახელმწიფო ტენდერების ფარგლებში მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ბაზრის გადანაწილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანის პოზიციით დგინდება კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობა, რომლის თანახმად აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში საუბარია მოპასუხე კომპანიების მხრიდან ბაზრის სავარაუდო განაწილებაზე სახელმწიფო ტენდერების ფარგლებში (ე.წ. Bid Rigging).

სააგენტომ შეისწავლა ბოლო 3 წლის განმავლობაში (2021, 2022 და 2023 წლები) გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში არსებული მდგომარეობა მიმწოდებელი კომპანიების მიერ გაკეთებული შეთავაზებების მიმართულებით. კერძოდ, ის ტენდერები, რომელიც გამოცხადებული იყო შესყიდვის კატეგორიის/CPV კოდით 79500000-ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები (79540000 - სათარჯიმნო მომსახურება და 79530000 - მთარგმნელობითი მომსახურება კლასიფიკატორის კოდით). აღნიშნული შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში იძებნება 345 ჩანაწერი. ამავე ჩანაწერების დამუშავების შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა 25 (ოცდახუთი) ეკონომიკური აგენტი, საიდანაც არც ერთი მათგანი ბოლო 3 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაკვეთილა შპს ,,ინტელექტ მარკეტთან" და შპს ,,ჯი ემ ჯი ცენტრთან" (ხსენებული ორი კომპანიიდან არც ერთ მათგანთან) თუნდაც ერთ რომელიმე ტენდერში. აღნიშნული ეკონომიკური აგენტების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება: 1. შპს ,,ლინგვო" (ს/ნ: 205194742) 2. შპს ,,მთარგმნელობითი აპარატურა პლუს" (ს/ნ: 406091214) 3. შპს ,,თრანსლეით ჰაბი" (ს/ნ: 438120383) 4. შპს ,,პოლიგლოტი" (ს/ნ: 431166025) 5. ინდ-მეწარმე ლიუბოვ შაკურსკაია (ს/ნ: 305579219) 6. ფ/პ მაია ქავთარია (პ/ნ: 01030001690) 7. ფ/პ გიორგი ასკურავა (პ/ნ: 01009004154) 8. ფ/პ ივანე მენთეშაშვილი (პ/ნ: 01006003049) 9. ფ/პ ირმა ხვედელიძე (პ/ნ: 01008007766) 10. შპს ,,ემ ქეი ინქორფორეიშენ" (ს/ნ: 405604387) 11. ფ/პ ანნა ჭაჭუა (პ/ნ 19001092088) 12. ფ/პ თამარ ბალამწარაშვილი (პ/ნ: 01011051538) 13. ფ/პ ეკატერინე ოდიშელიძე (პ/ნ: 13001005321) 14. ფ/პ: ვლადიმერ მირიანაშვილი (პ/ნ: 01008007265) 15. შპს ,,ტრანს კრეატივი" (ს/ნ 404381628) 16. შპს ,,ჯეოსილქ თრანსლეიშენს" (ს/ნ: 402118356) 17. ფ/პ ხათუნა გოგიშვილი (პ/ნ: 62001004186) 18. შპს ,,ჩაკლოვას თარჯიმანთა ბიურო" (ს/ნ: 405433721) 19. შპს ,,მთარგმნელობითი ბიურო-დიალოგი 2006" (ს/ნ: 205117853) 20. შპს ,,ბეიკერლოო" (ს/ნ 205278117) 21. ფ/პ მაკა ჩხეიძე (პ/ნ: 53001012263) 22. შპს ,,დიკე ინტერნეიშენელი" (ს/ნ: 203843653) 23. ფ/პ ნათელა დუნდუა (პ/ნ: 01019014153) 24. ფ/პ ნინო გაბუნია (პ/ნ: 01009009166) 25. შპს ,,ელ სი" (ს/ნ: 406162254).

მომჩივანის არგუმენტაციის მიხედვით, შპს ,,ინტელექტ მარკეტსა“ და შპს ,,ჯი ემ ჯი ცენტრს“ შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება უნდა არსებობდეს იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში აღნიშნული კომპანიები არც ერთ ტენდერში არ იკვეთებიან. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო გაიზიარებს მომჩივანის არგუმენტს, მაშინ ხსენებული კომპანიები ანალოგიურად უნდა იმყოფებოდნენ ზემოთ მითითებულ ყველა (25-ივე) ეკონომიკურ აგენტთან კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში. კერძოდ, მომჩივანის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოების მსგავსად, მოპასუხე კომპანიებიდან არც ერთი მათგანი ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გადაკვეთილა დანარჩენ კომპანიებთან რომელიმე სახელმწიფო ტენდერში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ წარმოშობს გონივრულ ეჭვს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივანის პოზიციით, მოპასუხე კომპანიებს შორის შეთანხმებული ქმედების არსებობა გამოიხატება არა მხოლოდ იშვიათი ენების სახელმწიფო ტენდერების გადანაწილებაში, არამედ ამავე კომპანიების მხრიდან ამავე ენების სპეციალისტების მიმართ იმგვარი მოთხოვნის დაწესებაში, რომელიც უკრძალავს მათ სხვა კონკურენტ კომპანიასთან თანამშრომლობას. მოცემულ შემთხვევაში საუბარია სავარაუდო ექსკლუზიური შეთანხმების არსებობაზე კანონის მე-7 მუხლის კონტექსტში. სააგენტო მიუთითებს შემდეგზე - იმის გათვალისწინებით, რომ კანონის მე-6 მუხლის ფარგლებში მსჯელობისას არ დგინდება ექსკლუზიური შეთანხმების არსებობის ფაქტი, როგორც შპს ,,ინტელექტ მარკეტის“, ასევე შპს ,,ჯი ემ ჯი ცენტრის“ შემთხვევაში, შესაბამისად, არგუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე გადაწყვეტილების 3.2 თავის ფარგლებში, აგრეთვე ძალაშია კანონის მე-7 მუხლის კონტექსტში განსახილველი სავარაუდო ექსკლუზიური შეთანხმების მიმართაც.

3.4 შეფასება კანონის მე-11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

წარმოდგენილ საჩივარში ასევე საუბარია ერთ-ერთი მოპასუხის - შპს „ინტელექტ მარკეტის“ მიერ კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. კერძოდ, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი მომხმარებლებს ყალბ და არასწორ წარმოდგენას უქმნის, რაც გამოიხატება შპს „ინტელექტ მარკეტის“ მიერ საჯაროდ ატვირთულ დოკუმენტზე გაკეთებულ შტამპში, სადაც მითითებულია, რომ შპს „ინტელექტ მარკეტი“ მოცემულ საბუთზე სარგებლობს ექსკლუზიური უფლებამოსილებით...“

საჩივრის ავტორი უთითებს კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლთან მიმართებით, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა:

ა) კანონის მე-11^3 მუხლით დადგენილი პირობების ერთობლივად არსებობა;

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

ა) მე-11^3 მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებს. შესაბამისად, კანონის მე-11^3 მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

i. ქმედება
ii. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;
iii. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
iv. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

ქმედება - ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა.[12]

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).[13]

ბ) როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტო საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს არსებობს თუ არა საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, საჩივარში მითითებული კანონის მე-11[3] მუხლის სავარაუდო დარღვევაზე მოკვლევის დაწყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება. ყოველი კონკრეტული საჩივრის შემთხვევაში, საქმის მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ სტანდარტს.

როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი და იგი ვალდებულია საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რაც სააგენტოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაშიც არ არის სახეზე. მომჩივანის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა შპს „ინტელექტ მარკეტის“ მხრიდან საჯაროდ ატვირთულ ერთ-ერთ დოკუმენტზე დართული შტამპი, რომლის მიხედვით შპს „ინტელექტ მარკეტი“ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, რომელიც მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე ამუშავებს და ასაჯაროვებს მოცემულ დოკუმენტაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. შპს „ინტელექტ მარკეტი“ მოცემულ საბუთზე სარგებლობს ექსკლუზიური უფლებამოსილებით, რომელიც მინიჭებული აქვს

[13] ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186, 2016 წლის 28 მარტის №41 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

უფლებამოსილი პირის მიერ და რომლის გასაჯაროვების შემდეგ, მესამე პირის მიერ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად მისი დამუშავება, გასაჯაროვება ან/და გამოყენება ისჯება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით.

განსახილველ შემთხვევაში მომჩივანი მიუთითებს, რომ აღნიშნული ჩანაწერი საჯაროდ ატვირთულ დოკუმენტზე მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის, თითქოს თარჯიმნების მონაცემებზე კომპანიას რაიმე ექსკლუზივი გააჩნია. ამით ერთგვარად მიანიშნებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომ მას გააჩნია ექსკლუზივი. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მუხლის შემადგენლობის განხორციელებისათვის აუცილებელია დგინდებოდეს მომხმარებლის ინტერესების შელახვის გონივრული ეჭვის არსებობა, რაც ვერ დასტურდება მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. საპირისპიროდ მოპასუხე აღნიშნავს, რომ შტამპის გამოყენების მიზანს წარმოადგენს მესამე პირის მიერ პერსონალური მონაცემების კანონსაწინააღმდეგო დამუშავების აღკვეთა და პრევენცია. შტამპის შედეგად, წინასწარ ხდება ყველა იმ პირის გაფრთხილება, ვინც შესაძლოა, შეეცადოს მთარგმნელ/თარჯიმნების პერსონალური მონაცემების მოპოვებასა და დამუშავებას მათი თანხმობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში შპს ,,ინტელექტ მარკეტის“ მიერ საჯაროდ ატვირთულ დოკუმენტებზე გამოყენებული შტამპის შინაარსით დგინდება, რომ აღნიშნული კომპანია ექსკლუზივს ფლობს ამავე დოკუმენტების (საბუთების) გამოყენების და არა მთარგმნელ-თარჯიმნების მიერ მომსახურების გაწევის კუთხით, რაც გამორიცხავს მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მას ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივანისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზის მეშვეობით ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

სააგენტოს შეფასებით კანონის მე-11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებითაც საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით/მტკიცებულებებით ვერ ხერხდება საჩივრის მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. შესაბამისად, არ არსებობს სავარაუდო

დარღვევის თაობაზე გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ (ს/ნ: 412702446) 2023 წლის 12 დეკემბრის (სააგენტოში რეგ. N01/4244) საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე